დადგენილება #33/2024 სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2025-2026 სასწავლო წელს მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების დამტკიცების შესახებ

დადგენილება N 33/2024
თარიღი: 02 დეკემბერი, 2024 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და 57–ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის #09 სხდომის ოქმის (კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ოთარ კაპანაძის No 863 27/ ნოემბერი/2024 წ. მოხსენებითი ბარათი) და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 02 დეკემბრის N15 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2025-2026 სასწავლო წელს მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა – 14 (თოთხმეტი) ადგილი: 7 (შვიდი) სახელმწიფო გრანტის დაფინანსებით და 7 (შვიდი) -თვითდაფინანსებით;
2. დადგენილება დაეგზავნოს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტს, სასწავლო დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს

კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი